ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სსრკ-ს დაშლამდე (1980-1991)

მარინე ჯიბლაძე
ჩინური ფოლოლოგიის დოქტორი, პროფესორი
თავისუფალი უნივერსიტეტი,
ისტორიის მიმართულების დოქტორანტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფოუნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საბჭოთა კავშირის ნგრევის პერიოდამდე ჩინეთის საგარეო პოლიტიკა. კვლევის მიზანია, გავაკეთოთ სსრკ-ს დაშლამდე პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი, კერძოდ კი, განხილულია ჩინეთის ურთიერთობები აშშ-სთან და სსრკ-სთან და ამ ურთიერთობების სამკუთხედი განსხვავებულ დროსა და ვითარებაში. მეთოდების ერთობლიობა, რომელშიც შედის ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რეტროსპექტიული მეთოდი, ისტორიული პროცესების სისტემური ანალიზი. ჩინეთი მიუხედავად გზაზე შექმნილი დაბრკოლებებისა და გარკვეული სირთულეებისა, თანმიმდევრული, წინდახედული და, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი მოქმედებებით, მალევე იქცა ერთ-ერთ მძლავრ და გავლენიან მოთამაშედ საერთაშორისო არენაზე. სტაბილურობამ და სწორმა საგარეო პოლიტიკამ, ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებამ და მაქსიმალურმა კონცენტრირებამ განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ჩინეთს მოუტანა სტაბილური ეკონომიკური წინსვლა.

სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ვავლენთ საგარეო პოლიტიკაში ჩინეთის მკვეთრი რეაგირებისა და ცვლილებების მოხდენის უნარს; საგარეო პოლიტიკაში დიპლომატიური სვლების თავისებურებების დეტალებს; საკუთარი ინტერესის პრინციპული, მაგრამ მოქნილი დაცვის მექანიზმს; ფრთხილ, წინდახედულ და, ამავდროულად, ქმედით პოლიტიკას საერთაშორისო არენაზე; დიპლომატიური ნაბიჯების თანმიმდევრობის სპეციფიკას; პრიორიტეტებს გეოპოლიტიკურ გარემოში სსრკ-ს დაშლამდე.

რაც შეეხება ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას, შესაძლებელია დიპლომატიურ საქმიანობაში სამომავლო შესაძლებლობების გონივრული გააზრება და გამოყენება. ნაშრომი ღირებულია როგორც თეორეტიკოსი მკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი; აშშ; საბჭოთა კავშირი; საგარეო პოლიტიკა; დიპლომატია; გეოპოლიტიკა.

შესავალი

წინამდებარე საკვლევი თემის არჩევა განაპირობა ჩინეთთან ჩემმა პროფესიულმა კავშირმა და თემის აქტუალობამ, იქიდან გამომდინარე, რომ ჩინეთი დღესდღეობით არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე და ამავე დროს, წარმოადგენს საქართველოს მნიშვნელოვან პარტნიორს.

ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლისას, ვეცნობით ამ მიმართულებით მათი მოქმედების სპეციფიკასა და მახასიათებლებს.

რაც შეეხება კვლევის არეალის შემოსაზღვრას, ნაშრომში დროის ფარგლებია - სსრკ-ს დაშლამდე პერიოდი - 1980-1991 წლამდე; გეოგრაფიული არეალია - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, აშშ, სსრკ; სფერო - დიპლომატია და საგარეო პოლიტიკა.

კვლევის მიზანი და შეკითხვები. წინამდებარე კვლევის მიზანია, გავაკეთოთ სსრკ-ს დაშლამდე პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი. მიზნის მისაღწევად, საჭიროა ვუპასუხოთ შემდეგ საკლვევ შეკითხვებს:

რა ხდებოდა ჩინეთის საგარეო პოლიტიკაში სსრკ-ს დაშლამდე და რა ადგილი ეკავა ჩინეთს საერთაშორისო არენაზე? ჩსრ აშშ-თან ურთიერთობების პრიორიტეტები რაში მდგომარეობდა? რამ განაპირობა ჩინეთის ისევ სსრკ-თი დაინტერესება? როგორ შეიცვალა ვითარება და როგორია ჩინეთის ქმედებები ცივი ომის დასრულების პირობებში. პირველადი და მეორეული წყაროების მეშვეობით, გავიგებთ, თუ რა ადგილი ეკავა ჩინეთს იმდროინდელ გეოპოლიტიკურ ველზე.

კვლევის ობიექტი: ჩინეთი

კვლევის საგანი: საგარეო პოლიტიკა და დიპლომატიური სვლები სსრკ-ს დაშლამდე.

ლიტერატურის მიმოხილვა. ჩვენ მოვიძიეთ წინამდებარე საკვლევ თემასთან დაკავშირებული ლიტერატურა, რის საფუძველზეც შევაგროვეთ საკვლევი საკითხის შესახებ ცოდნა, გავეცანით და შევადარეთ ერთმანეთს განსხვავებული პოზიციები თუ შეხედულებები, გამოვავლინეთ საკვლევ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემები და აქამდე გამოუკვლეველი ასპექტები. კონკრეტულად კი, შევაგროვეთ, შევაფასეთ და ანალიზი გავუკეთეთ პუბლიკაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენ საკვლევ საკითხთან.

ჩვენ გავეცანით სხვადასხვა უცხოელი ავტორების პუბლიკაციებს. პუბლიკაციების გაცნობის პროცესში იგრძნობა, რომ მკვლევარები ხშირად ტენდენციურები არიან, თავიანთი ქვეყნების ინტერესებისა და პოლიტიკური ხედვის გათვალისწინებით ახდენდნენ მიმდინარე მოვლენების შეფასებასა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ინტერპრეტაციას.

ჩატარებულმა სამუშაომ მოგვცა საშუალება უკეთ დაგვენახა პრობლემა; მოგვეხდინა საკვლევი საკითხის გააზრება და სწორად ფორმულირება, საკვლევი შეკითვების შედგენა.

საკითხის აქტუალობა. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და ქვეყნის შესახებ ცნობადობის ამაღლების საჭიროებით ყველა სფეროში. ნაშრომში მოცემულ მოვლენებსა თუ პროცესებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დიპლომატიის ისტორიაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დღიდან, მისკენ მიპყრობილია მთელი მსოფლიოს ყურადღება სხვადასხვა ფაქტორების გამო. ეს არის ქვეყანა, რომელმაც დიპლომატიური ურთიერთობები ქვეყნებთან თანმიმდევრულად და წარმატებულად ააგო. შესაბამისად, მოცემული საკითხის აქტუალობას წარმოადგენს ტრადიციებზე აგებული ჩინეთის სტრატეგიებისა და ფრთხილი, თანმიმდევრული, მაგრამ ამავე დროს გაბედული სვლების განხილვას, მიდგომების გამოვლენასა და გაანალიზებას.

მეთოდები

გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა პასუხობს წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზნებსა და შეკითხვებს, ობიექტსა და საგანს.

ისტორიულ-აღწერითი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც დავადგინეთ და მოვაწესრიგეთ ისტორიული ფაქტები და მოვლენები, აღვწერეთ და მივიღეთ თეორული შედეგები, რაც დაგვეხმარა ისტორიული მოვლენების ანალიზში.

რეტროსპექტიული მეთოდი, რაც ითვალისწინებს წარსულში ისტორიული მოვლენების მიზეზის მოძიებას, მიდგომის არსია - შედეგიდან მიზეზამდე.

ისტორიული პროცესების სისტემური ანალიზი ანუ შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების ძირითადი ელემენტების დაფიქსირება და მათი ურთიერთქმედების კვლევა. პროცესების სისტემური კვლევის მეთოდები კლასიფიცირებულია სხვადასხვა მიზნებით, რომელიც ასახავს პროცესების მიზეზ-შედეგობრივ კავშირს, სხვადასხვა ობიექტის განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესების განვითარების დინამიკას და ა.შ. რომელიც ლოგიკურად ასახავს ძირითად ასპექტებს, პროცესების მახასიათებლებს და გამოხატულია სქემების, გრაფიკების, ცხრილების და მათი განმარტების თეორიული კონცეფციები.

ჩავატარეთ მოვლენებისა და პროცესების ანალიზი შესაბამისი მეთოდების ერთობლიობის გამოყენებით და შევადგინეთ მათზე ზუსტი წარმოდგენა.

დისკუსია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნიდან მოყოლებული ჩინეთის საგარეო პოლიტიკისთვის დამახასიათებელია ცვლილებები სხვადასხვა გეოპოლიტიკური სტრატეგიების შემუშავებით, სიტუაციის ანალიზისა და პრობლემების ფორმულირების, ქვეყნის პრიორიტეტების განსაზღვრისა და მკაფიო მიზნების დასახვის საფუძველზე.

1949 წლიდან პირველი სვლები იყო: საერთაშორისო აღიარების მოპოვების მცდელობა მხოლოდ შესაძლებელი, ხელმისაწვდომი და, იმავდროულად, ხელსაყრელი გზებით - იმ ეტაპისთვის კი, ეს იყო საბჭოთა კავშირთან, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება და აქტიური ურთიერთობა ყველა მიმართულებით, იმ დროისთვის მათი საერთო მიზანი იყო - კაპიტალისტურ სამყაროსთან ბრძოლა. ჩინეთი ამ გზით იწყებს ტერიტორიული საკითხების მოგვარებას და შეინიშნება საერთაშორისო არენაზე შეღწევის მცდელობა. შემდგომი ეტაპი იყო საბჭოთა კავშირითა და სოციალისტური ბანაკით შემოფარგვლაზე უარის თქმა და ურთიერთობების გაფართოება აზიისა და აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირის რევიზიონიზმსა და იმპერიალიზმთან ბრძოლის ეტაპზე გადასვლა. 1970-იან წლებში საბჭოთა კავშირთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე, ჩინეთი დაუახლოვდა აშშ-ს, რაც მას კიდევ უფრო უფართოებს დიპლომატიური ურთიერთობების არეალს, მალევე მას უკვე 120 ქვეყანასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული.

გამოდის, რომ სსრკ-სთან დაპირისპირებამ ჩინეთს მოულოდნელად კურსი შეაცვლევინა, და გადაერთო აშშ-ზე. ამავდროულად, ჩინეთმა გათვალა, რომ ამ გზით ის იზოლაციიდან გამოვიდოდა და ამას სხვა ქვეყნების მხრიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის აღიარება მოყვებოდა. ამ ნაბიჯმა კი აშშ-თან დაახლოვა ჩინეთი და აქცია მის პარტნიორად, მართალია, ზოგჯერ არც თუ ისე თანაბარ პირობებზე. კურსის შეცვლამ მეტი სარგებელი შესძინა მას: ჩინეთი გამოდის იზოლაციიდან, ჩინეთმა

სხვა ქვეყნების მხრიდან აღიარება მოიპოვა და მიიღო ეკონომიკური სარგებელი.

სურათი N 1 *ჩსრ-ს საგარეო პოლიტიკის სქემა (1980 წლამდე)*



მიუხედავად ქვეყნის სიდიდისა, სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალისა, ჩინეთს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებაში ხელს უშლიდა შიდა პოლიტიკური პრობლემები.

ჩინელი მკვლევრების მიერ ჩსრ საგარეო პოლიტიკის შეფასებით, 1971 წლამდე ჩინეთი საერთაშორისო ურთიერთობების არა მონაწილე, არამედ უფრო დამკვირველებელი იყო და ჯერ კიდევ საერთაშორისო სისტემის გარეთ იმყოფებოდა (Qin Yaqing, 2009).

1979 წელს ტენგ სიაოფინგმა დაიწყო საგარეო პოლიტიკის დეიდეოლოგიზირება და ეკონომიკური რეფორმების გატარება, რამაც მისი მემკვიდრეებისა და იდეის გამგრძელებლების ძალისხმევით, ჩინეთი აქცია რიგით მეორე მსოფლიო ეკონომიკის მქონე ქვეყნად და უდიდესი გავლენა მოახდინა როგორც ჩინეთზე, ისე მთელ მსოფლიოზე (H. Kissinger, 2020). იგი მალევე შეუერთდა საერთაშორისო ორგანიზაციებს და თავად იქცა

მსოფლიო წესრიგის გამზიარებლად; იყო მრავალი საერთაშორისო მაღალი დონის ღონისძიების ორგანიზატორი თუ ინიციატორი მომავალში მსოფლიო არენაზე მამოძრავებელ ძალად ქცევის იმედით.

მთავარი განსხვავება ჩსრ-ს სხვადასხვა საგარეო პოლიტიკას შორის თეორიული კონცეფციებია. 1980 წლამდე ჩინეთის მთავარი კონცეფცია იყო „პოლიტიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“, რომელიც 1980 წლიდან ტენგ სიაოფინგმა ჩაანაცვლა კონცეფციით „ეკონომიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“ (Yu Han, 2016).

მარქსიზმ-ლენინიზმის ორთოდოქსურ მოძღვრებას მან მცირე დოზით თავისუფალი ბაზრისა და კერძო საკუთრების გაგება შემატა, შედეგად კი, ჩინეთმა ყველაზე შთამბეჭდავი ტრანსფორმაცია განიცადა (William Keylor, 2011).

ჩინეთი აყალიბებს თავის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რის შესახებაც ტენგ სიაოფინგი 1982 წელს XII ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე აცხადებს. იქ ჟღერდება პოზიცია, რომ მშვიდობიანი პოლიტიკა ნიშნავს მშვიდობიანი გარემოს შექმნას ჩსრ-ის ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ტენგის საგარეო პოლიტიკა აგებული იყო ობიექტურ რეალობაზე და ითვლისწინებდა გეოპოლიტიკური და საგარეოპოლიტიკური ინტერესების გაფართოებას, აღარ შემოიფარგლებოდა რეგიონალური ინტერესებით („ჟენმინ ჟიპაო“, 1982.09.02 http://cpc.people.com.cn/GB/64162/64168/64565/65448/4429495.html.

ჩინეთმა უპირობოდ აირჩია ეროვნული ეკონომიკის განვითარების დასავლურ-ლიბერალური მოდელი, რომელიც მას საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო სისტემაში უფრო სრულ ინტეგრაციას კარნახობდა (William Keylor, 2011) .

კულტურული რევოლუციის საგანმანათლებლო სისტემაზე ნეგატიური გავლენის გამო, ტენგ სიაოფინგის ეკონომიკური მოდერნიზაციის პროექტში მონაწილეობისთვის ჩინეთში შესაბამისი დარგის საკმარისი სპეციალისტი არ გააჩნდა. ერთადერთი გამოსავალი იყო ჩინელი ახალგაზრდების დასავლეთში გაგზავნა უნარ-ჩვევების ასათვისებლად. 1988 წლამდე 50 000-მდე სტუდენტი გაემგზავრა დასავლურ უნივერსიტეტში და მათ

შორის, უმრავლესობა - აშშ-ში. თუმცა დასავლეთიდან დაბრუნებული სტუდენტები გარკვეულ პრობლემასაც წარმოადგენდა ჩინეთისთვის, რადგან ჩინეთის განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენასთან ერთად, ისინი დასავლურ კულტურულ ფასეულობებსა და პოლიტიკურ იდეებსაც გაეცნენ. „დასავლური“ ჩვევებისა და ხედვების მქონე ახალგაზრდების გამოჩენას აღიქვამდნენ ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული მაოიზმის პურიტანული ეთიკის დარღვევად და ხელისუფლებისთვის საფრთხეს (William Keylor, 2011).

მაშინ, როდესაც 1980-იანი წლების ბოლოს, ჩინეთი ცდილობდა გააქტიურებულიყო საერთაშორისო არენაზე, ამას ხელი გარკვეული პერიოდით შეუშალა სტუდენტური დემონსტრაციის ჩახშობამ 1989 წელს, იგივე „თიენანმენის ინციდენტმა“.

თიენანმენის ინციდენტმა ჩინეთს გაუფუჭა ურთიერთობები დასავლეთთან და იგი აღმოჩნდა დასავლეთის, განსაკუთრებით კი აშშ-ს ზეწოლისა და სანქციების ქვეშ. დასავლეთმა ემბარგო დაადო ჩინეთის შეიარაღებას, სამხედრო ტექნოლოგიებსა და ა.შ. სწორედ მაშინ, გარკვეული პერიოდით შეფერხდა ჩინეთის საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირების პროცესი.

დასავლეთთან დაძაბული ურთიერთობისდა მიუხედავად, ტენგს ღია კარის პოლიტიკის რეფორმების გზა მაინც არ შეუცვლია. როცა ჩინეთი რთული საშინაო და საგარეო ვითარების წინაშე დადგა, ტენგმა გადადგომამდე, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის კურსად გამოაცხადა ე.წ. „ოც იეროგლიფიანი კურსი“ (Geng Xiangdong, 2014) :

სურათი N 2 *„ოც იეროგლიფიანი კურსი“-ს სქემა*



კისინჯერს თავის წიგნში „ჩინეთის შესახებ“ ნახსენებია აქვს „24 იეროგლიფიანი კურსი“, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინის-

ტრის ციენ ციჩენის წიგნში „ათი დიპლომატიური ამბავი“ მოყვანილია 28 იეროგლიფიანი კურსი“: 冷静观察、稳住阵脚、沉着应付、韬光养晦、善于藏拙、决不当头、有所作为, რაც გულისხმობს, რომ დაემატა „დავრჩეთ მორიდებულები და თავმდაბლები“ და „ნუ გვექნება პრეტენზია ლიდერობაზე“ (Qian Qichen, 2003).

თეორიულად, ეს ნიშნავდა სიფრთხილის გამოჩენას, რომ არ არის საჭირო შესაძლებლობების დემონსტრირება, ლიდერობაზე პრეტენზია არ უნდა გამოთქვა, რათა მსოფლიოს არ ჰქონდეს ჩინეთის შიში და არ დაიწყოს მისთვის ხელშეშლა. რომ ჩავშალოთ, პრაქტიკულად, ეს ნიშნავდა იმას, რომ ჩინეთი გააგრძელებდა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე ყველა ქვეყანასთან ურთიერთობების განვითარებას, უფრო კონკრეტულად კი, ეკონომიკურ ურთიერთსარგებლიანობაზე ურთიერთობების აგებას, არ აწარმოებდა იდეოლოგიურ დავას, თავს შეიკავებდა კონფრონტაციისგან, მაგრამ, იმავდროულად, არ მოითმენდა ჰეგემონიასა და ძალისმიერ პოლიტიკას. ამით პოლიტიკურ საკითხებზე შეინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს, რაც სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებდა. ძირითადად, ფოკუსირდებოდა საშინაო საქმეებსა და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაზე. თუმცა საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო ასპარეზზე უნდა გამოჩენილიყო კონკრეტული ქმედითი ნაბიჯებით და ეთქვა თავისი სიტყვა.

ამ დროისთვის ჩინეთის გენერალური მდივანი უკვე ძიანგ წემინი იყო, თუმცა მხოლოდ 1990 წელს გადავიდა მასზე ყველა თანამდებობრივი მოვალეობა. აშშ-თან ურთიერთობა ჯერ კიდევ დაძაბული რჩებოდა. აშშ-ს თუ არ ჩავთვლით, 1990 წლისთვის ჩინეთის მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობასთან ურთიერთობები ნორმალიზდება. ძიანგ წემინის დროს „მრავალპოლარული სამყაროს“ კონცეფცია შემუშავდა და ქვეყნებთან სტრატეგიული ურთიერთობები მყარდება, რაც ნიშნავს აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასვლას.

ჩინეთი ძალიან ცდილობდა ახალ მსოფლიო წესრიგში ჩართულიყო და ქვეყნის მიმართ აღედგინა მსოფლიოს ნდობა, რაც მას ეხმარებოდა ქვეყნის შიგნით სიტუაციის დასტაბილიზირებაში. გარდა ამისა, ძიანგი ბევრს მუშაობდა იმაზე, რომ მსოფლიოს

დაენახა აქტიური და მომხიბვლელი მთავრობა, რომელსაც არ სურდა ყოფილიყო იზოლირებული და გაეზიარებინა სსრკ-ს დასუსტების ბედი.

როგორც აღვნიშნეთ, სსრკ-ზე უკვე საუბრობდნენ როგორც დასუსტებულ ძალაზე და არა საფრთხეებზე მისი მხრიდან, ციენ ციჩენმა აღიარა, რომ გორბაჩოვმა ეკონომიკური დახმარება სთხოვა მას. რუმინეთში ჩაუშესკოს ჩამოგდება და კომუნისტური ხელისუფლების დამხობა და სხვა აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ხელისუფლებების დამხობა (1990 წელს აღმოსავლეთ გერმანიის, ჩეხეთისა და რუმინეთის კომუნისტური ხელისუფლებების დამხობა), აძლიერებდა აშშ-ს პოზიციებს. ექსპერტების ნაწილი აცხადებდა, რომ ჩსრ-ის დამხობის დღეც მალე დადგებოდა. ჩინეთი იზოლაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ტენგი აგზავნის პარტიის წევრებთან მკაცრ გაფრთხილებას: „ამჟამინდელ საერთაშორისო ვითარებაში მოწინააღმდეგის ყურადღება იქნება გადატანილი ჩინეთზე და არ უნდა გამოაყენებინონ ვინმეს ვითარება სათავისოდ, უკიდურესად საჭიროა სტაბილურობა. მომავალი რამდენიმე წელი განსაკუთრებით რთული იქნება. თუ გავუძლებთ, ჩვენი საქმეები უფრო სწრაფად განვითარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ რეგრესს, შესაძლოა რამდენიმე ასეული წლით უკან გადავეშვათ (Yang, B., 1996).

ძიანგი ხშირად მონაწილეობდა საგარეო აქტივობებში, ხვდებოდა ჩინეთში ვიზიტით მყოფ უამრავ დელეგაციას. ძიანგს ამაში ხელს უწყობდა საგარეო საქმეთა მინისტრი ციენ ციჩენი, რომელიც ძალიან ბევრს მოგზაურობდა და მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, გაბედულად ერთვებოდა ინტერვიუებში. სწორედ რომ ეს აქტიური და ოპტიმისტური დიპლომატიური ნაბიჯები ეხმარებოდა ძიანგს მსოფლიო საერთაშორისო ინსტიტუტებთან, მათ შორის დასავლეთთან მომხიბვლელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს დიდად არ მოსწონდა სკეპტიკურად და კრიტიკულად განწყობილი დასავლეთი.

ჩინეთი და აშშ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან 30 წლის შემდეგ ჩინეთ-ამერიკის დაახლოება განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის სამხედრო ექსპანსიითა და ურთი-

ერთსარგებლიანი ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტ-ივით.

ქვეყნებთან ეკონომიკის სფეროში ურთიერთობა ურთიერთსა-რგებლიანობის პრინციპის საფუძველზე აქტიურ ფაზაში შევიდა. ჩინეთისა და აშშ პოზიციები სხვადასხვა საკითხზე უფრო ხში-რად ემთხვეოდა ერთმანეთს 1980 წლიდან 1989 წლამდე (Wuth-now, J., 2013).

1981 წლიდან 1989 წლამდე გრძელდება საერთაშორისო პლო-ბლემებზე ჩსრ და აშშ-ს პოზიციების დაახლოება, რაც ფიქსი-რდება გაეროს უსაფრთხოების საბჭოზე ხმისმიცემის პროცესით. ჩინეთი გაეროს ტრიბუნებზე თავს არიდებს ზესახელმწიფოების თემაზე პოლემიკას. პრიორიტეტული ხდება ძლიერ სახელმწიფ-ოებთან, გაეროს სტრუქტურებთან და საერთაშორისო ინსტიტუ-ტებთან, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება (Wuthnow, J., 2013).

უნდა აღინიშნოს, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შემდეგ, აშშ ისევ ამარაგებდა თაივანს შეიარაღებით, რაც დროდადრო ძაბავდა ურთიერთ-ობებს. ისმოდა განცხადებები თაივანის მხარდაჭერის შესახებ, რაც ცუდად აისახებოდა ურთიერთობებზე, ჩინეთი აღიქვამდა აშშ-ს მიერ ჩინეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, შიდა პოლიტიკაში ურთიერთჩაურევლობის პრინციპის დარღვევად. აშშ-მ პირობა დადო, რომ შეამცირებდა სამხედრო იარაღით მომარაგებას და ცოტა მოგვინებით საბო-ლოოდ შეწყვეტდა, მაგრამ უწინდებურად აგრძელებდა თაივან-ისთვის იარაღის მიწოდებას, რაც, პერიოდულად, იწვევდა დაპი-რისპირებას ორ ქვეყანას შორის. თუმცა, აქაც ჩინეთი მოქმდებდა ჭოუ ენლაის[5] პრინციპით – „თანამშრომლობის ნიადაგის მოსინჯვა"[6]. ტენგი ცდილობს ურთიერთოებების ნორმალიზების

[5]იგივე ჯოუ ენლაი, აქ გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფციატრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები" (ჯიბლაძე et al. 2019-2020).

[6] სიტყვასიტყვით: „ეძებო საერთო, მიუხედავად არსებული განსხვავებისა თუ პრობლემისა ", როგორც ურთიერთობებში სხვადასხვა სახის უთანხმოების მოგვა-

ბოლომდე მიყვანას, რადგან მას სჭირდება აშშ-ს მხარდაჭერა სხვადასხვა მიზნებისა და სვლების განსახორციელებლად, რის გამოც, ჩინეთის მხრიდან ხდება აშშ-ს ამ ნაბიჯების იგნორირება და პროცესების გამწვავების თავიდან არიდება. აშშ-მ კონტინენტურ ჩინეთსაც შესთავაზა იარაღი, რათა მოკავშირე არ დაეკარგათ და ისევ სსრკ-ს არ დაახლოებოდა. მიუხედავად ამ საკითხში უთანხმოებისა, ისინი აგრძელებდენ თანამშრომლობას.

სურათი N 3 *ჩსრ-აშშ ურთიერთობების (1980-1989) სქემა*



1980 წლიდან მოყოლებული, ჩინეთ-აშშ ურთიერთობებში, მიუხედავად პერიოდული დაპირისპირებებისა, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ, სამხედრო საქმეში, კულტურაში და სხვა სფეროებში აგრძელებენ ურთიერთობების განვითარებას. აქტიური კომუნიკაცია ჩანს მაღალი დონის ურთიერთვიზიტებიდან. დიაგრამა ასახავს ურთიერთვიზიტების (მათ შორის, ოფიციალური შეხვედრა ყველაზე ხშირია) სიხშირეს 1983 წლიდან 1989 წლამდე:

სურათი N 4 *ჩსრ და აშშ ურთიერთვიზიტების დიაგრამა*

რების ძირითადი გზამკვლევი და მეთოდი, რომელმაც არაერთი დიპლომატიური წარმატება მოუტანა ჩინეთს.

აშშ-ჩინეთის ურთიერთობები 1980-1989 წლებში სტაბილურად ვითარდება, ხოლო 1989 წლის თიენანმენის ინციდენტის შემდეგ, ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დაიძაბა. მართალია, ეძებენ თანამშრომლობის გაგრძელების გზებს, თუმცა ორივე მხარეს პოზიციების დათმობა უჭირს.

მართალია, ჩინეთი „აცხადებდა, რომ მათი კარი ყოველთვის ღია არის“ და „ამ ორ ქვეყანას უამრავი საერთო ინტერესი აქვს“ (H. Kissinger, 2014), თუმცა ძიანგმა ასევე განაცხადა, რომ ჩინეთი წყვეტდა აშშ-თან ცალმხრივ დათმობებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად და მოითხოვა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აშშ-სგან. მისი თქმით, აშშ-სთან მხოლოდ თაივანის საკითხზე იყო პრობლემა, რადგან „არც საერთო საზღვარი აქვს ამ ორ ქვეყანას და ინტერესების ფუნდამენტური კონფლიქტი არ არსებობდა, ამიტომ ურთიერთობების ნორმალიზებას ხელს არაფერი უშლიდა“, თუმცა ეს უნდა მომხდარიყო „თანასწორობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე“. ძიანგი თვლიდა, რომ ჩინეთის შიდა პრობლემებზე აშშ-ს რეაქცია იყო არაადეკვატური. მან დაახასიათა ეს ქმედება როგორც მშვიდობიანი თანაარსებობის ერთ-ერთი პრინციპის - „შიდა საქმეებში ურთიერთჩაურევლობის პრინციპის“ დარღვევა.

ჩინეთმა აშშ დაადანაშაულა ამ ინციდენტის ხელშეწყობაში და გარკვეული პირობები წაუყენა აშშ-ს, თუმცა ძალიან მალე, აშშ-ში ჩინეთის თემა დროებით აღარ იყო აქტუალური, რადგან აღმოსავლეთ ევროპაში რევოლუციები დაიწყო, ბერლინის კედელი დაინგრა, რამაც განაპირობა „ცივი ომის“ პერიოდის საგარეო პოლიტიკის ცვლილება. თანაც მალე იგეგმებოდა ბუშის შეხვედრა გორბაჩოვთან. აშშ-ს დასაგეგმი ჰქონდა მოქმედების ტაქტიკა და სტრატეგია. აშშ მოგვიანებით გაგზავნა საგანგებო წარმომადგენლობა ჩინეთში, თუმცა აშშ-ს კონგრესში და პრესაში დისკ-

უსიებისგან თავის არიდების მიზნით, მეორეხარისხოვნად და ნაკლებად პრიორიტეტულად გამოაჩინეს აღნიშნული ვიზიტი.

ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხი, ამერიკელი დამცველების წინააღმდეგობისდა მიუხედავად, გარკვეული პერიოდით, ეკონომიკურმა ინტერესმა გადაწონა, მით უმეტეს, რომ ჩინეთი საგარეო პოლიტიკაში ყოველთვის ცდილობდა არ ყოფილიყო აშშ-ზე დამოკიდებული და შეძლებოდა თავისი პოზიციის გაბედულად დაფიქსირება თუ დაცვა.

1990 წლის 11 სექტემბერს, აშშ-ს პრეზიდენტმა ბუშმა კონგრესზე პირველად გააკეთა განცხადება „ახალი მსოფლიო წესრიგის“ შექმნის შესახებ, რომელიც „მშვიდობას უზრუნველყოფდა“ და „აღმოსავლეთის ქვეყნები იქნება თუ დასავლეთი, ჩრდილოეთისა თუ სამხრეთისა, ყველა უნდა განვითარდეს და ჰარმონიაში იცხოვროს“. ჩინეთმა ჩათვალა, რომ ამ „ახალი მსოფლიო წესრიგის“ მთავარი არსი იყო აშშ-ს, როგორც წამყვანის როლის ხაზგასმა, რამაც გამოავლინა „აშშ-ს სპეციფიკა“, მართალია „აშშ ნამდვილად არის გამორჩეული ეკონომიკური და სამხედრო ძალა“, მაგრამ „მსოფლიოს მაგალითზე დაანახა აშშ-ს დიპლომატიის პარადოქსი, იდეალისა და რეალობის პარადოქსი“ (Yuan Ming, 2012:380).

მიუხედავად ჩინეთის გახსნილობისა, საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიური ჩართულობისა, აშშ-ს მიერ გამოცხადებული „მსოფლიო წესრიგი“ მისთვის რთული მისაღები აღმოჩნდა. რომ გავიხსენოთ ჩინეთის ისტორიული წარსული, ჩინეთს საკმაოდ ცუდი გამოცდილება აქვს მეცხრამეტე საუკუნისა და მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპული მსოფლიო წესრიგთან, რომელიც იყო შექმნილი ძალის ბალანსის დასაცავად, ძირითადად, ევროპულ სახელმწიფოებს შორის, ქმნიდნენ კოლონიებს და ამ ქმედებებს ამართლებდნენ ე.წ. „დიდი მისიით“. მართალია, დიდი მასშტაბების გამო მაშინ ვერ მოახერხეს მთელი ჩინეთის დაპყრობა, მაგრამ დააკარგვინეს მას საშინაო პოლიტიკის საკვანძო საკითხებზე კონტროლი, რამაც ჩინელი ხალხის ცნობიერებაში ღრმა კვალი დატოვა (H. Kissinger, 2020) .

აშშ მიიჩნევდა, რომ აზიაში ძალების დაბალანსების საჭიროების გარდა, არსებობს საომარი მოქმედებების რისკი, რადგან

ჩინეთი დროდადრო საჯაროდ აცხადებს იმის შესახებ, რომ ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით მზად არის გამოიყენოს სამხედრო ძალა (H. Kissinger, 2020) . თუმცა, ამ დროისთვის ჩინეთის მთავარი მიზანია განვითარდეს ინტელექტუალურად, ეკონომიკურად და მხოლოდ თავდაცვის მიზნით გამოიყენოს „ძალა“. ის მომართულია ჩინეთის სტაბილურობასა და განვითარებაზე და მთელი კაცობრიობის მშვიდობასა და განვითარებაზე (Li Zhiping, 2014).

ამ პერიოდში აშშ და ჩინეთი წარმოადგენდნენ „ზესახელმწიფოსა და ძლიერი სახელმწიფოს“ ურთიერთობას.

სურათი N 5 *ჩსრ-აშშ ურთიერთობების (1989-1991) სქემა*



ჩინეთი და საბჭოთა კავშირი. სსრკ-სთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ეს პერიოდი იყო ძალიან დაძაბული და გეოპოლიტიკურად არცთუ ისე სახარბიელო ჩინეთისთვის. 1979 წლიდან სსრკ-ს შეჰყავს ჯარი ავღანეთში, რასაც ჩინეთი აღიქვამს სამხედრო მუქარად ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე; მონღოლეთში ჯარი ჩააყენა, ვიეტნამში კი აქტიურად იყენებდა სამხედრო-საზღვაო ბაზას. ჩინეთმა ეს შეაფასა როგორც სსრკ-ს მიერ ჩინეთის სტრატეგიულიულ ალყაში მოქცევა. თუმცა უკვე 80-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნევა ჩინეთ-სსრკ-ს ურთიერთობების გაუმჯობესების მცდელობები, 1982 წლის მარტში ჩინურ მხარეს სსრკ-ს ლიდერების განცხადებებიდან ესმის მათი ჩინე-

თთან ურთიერთობების აღდგენის სურვილი. ჩინეთი აცხადებს, რომ ხედავს ჩინეთ-სსრკ ურთიერთობებში სამ ძირითად დაბრკოლებას, შესაბამისად, მოითხოვს:

- შეწყვიტოს ავღანეთში შეჭრა;
- შეწყვიტოს ვიეტნამის კამბოჯაში შეჭრის მხარდაჭერა;
- შეამციროს და გაიყვანოს ჯარი ჩინეთ-სსრკ-ს და ჩინეთ-მონღოლეთის სასაზღვრო ზოლიდან.

1982 წლის ოქტომბრიდან 1988 წლის ივნისამდე, ჩინეთისა და სსრკ-ს საგანგებო წარმომადგენლები 12 საკონსულტაციო შეხვედრას მართავენ. ჩინეთი აღნიშნავს, რომ ამ სამი დაბრკოლებით რეალურად სსრკ-ს ჩინეთის სტრატეგიულ ალყაში მოქცევას ცდილობს, რაც პირდაპირ ემუქრება ჩინეთის სახელმწიფო უსაფრთხოებას, მაგრამ სსრკ-ს საბაბად მოჰყავს მესამე ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება და უარს აცხადებს ამ თემების მოგვარებაზე.

მხოლოდ მიხეილ გორბაჩოვის თავმჯდომარედ დანიშვნის შემდეგ გააქტიურდა ჩინეთ-სსრკ-ს შორის ურთიერთობების დალაგებაზე მუშაობა. 1987 წლის იანვარში სსრკ-მ განაცხადა, რომ მონღოლეთიდან ჯარის ნაწილის გაყვანას დაიწყებდა. 1988 წლის თებერვალში განაცხადა, რომ მაისიდან დაიწყებდა ავღანეთიდან ჯარის გაყვანას და 10 თვეში გაყვანის პროცესს დასრულებდა. კამბოჯის საკითხის თაობაზე, დამატებით საკონსულტაციო შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 1989 წლის ივნისის ბოლოს დაიწყებოდა და იმავე წლის დეკემბრის ბოლომდე ვიეტნამი კამბოჯიდან ჯარს გაიყვანდა ეტაპობრივად. ამავდროულად, სსრკ-ჩინეთის სასაზღვრო ზოლზე ჯარის შემცირებაზე და, ზოგადად, სასაზღვრო ზოლზე მოლაპარაკებები ორივე მხარეს გარკვეული წინსვლა ჰქონდა, თუმცა შეფერხებებით, რაზეც ედუარდ შევარდნაძე თავის მემუარებშიც აღწერს. ამიტომ, ამ პერიოდისთვის ეს „სამი დაბრკოლება“ ძირითადად მოიხსნა, რამაც განაპირობა ჩინეთ-სსრკ ურთიერთობების დარეგულირება (Geng Xiangdong, 2014) .

იმდროინდელი ჩსრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის ციენ ციჩენის ჩანაწერის მიხედვით, 1988 წლის 1 დეკემბერს ციენ ციჩენი

სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის ედუარდ შევარდნაძის მიწ-ვევით სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა მოსკ-ოვში. ეს იყო 1957 წლის შემდეგ 30-იანი პაუზის შემდეგ მინის-ტრის პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, რომლის მიზანი იყო ორ ქვეყანას შორის მაღალი დონის შეხვედრის მომზადება. მიუხედავად შევარდნაძესთან გაერთიანებული ერების ორგანი-ზაციის კონფერენციაზე რამდენიმე შეხვედრისა, ეს იყო პირვ-ელი ვიზიტი, რომელიც შეფასდა როგორც ყინულის ლღვობა ურთიერთობებში, ანუ ურთიერთობების დალაგების დასაწყისი, რაც არ იყო მარტივი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების თავისებურებიდან და რთული გარემოებებიდან გამომდინარე და უამრავ უხერხულობას ქმნიდა. ოფიციალურ შეხვედრებზე გაიმართა მოლაპარაკებები ვიეტნამი-კამბოჯის პრობლემებზე და მონღოლეთ-ჩინეთის, სსრკ-ჩსრ-ს სასაზღვო ზოლზე ჯარის შემცირების და, ზოგადად, სასაზღვრო საკითხებთან დაკავში-რებით, რომლის გადაჭრაზე შეთანხმება უნდა ყოფილიყო უმა-ღლესი დონის შეხვედრის წინაპირობა.

ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების ედუარდ შევარ-დნაძისა და ციენ ციჩენის დიდი ძალისხმევის შედეგად, 1989 წლის 6 თებერვალს ორივე მხარემ გაავრცელა განცხადება და გორბაჩოვის ჩინეთში ოფიციალური ვიზიტი ჩაინიშნა (შევარდნაძე, 2018).

ტენგ სიაოფინგმა რამდენიმე წინადადებით დაარიგა დიპ-ლომატიურ სამსახურს დახვედრის ცერემონიასთან დაკავ-შირებით: „საკმარისია ხელის ჩამორთმევა, არ ვეხვევით“, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ გარკვეული პროტოკოლით, არამედ ჩინეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობების თავის-ებურებით, მთავარ თემად კი დაასახელა „დავასრულოთ წარს-ული, დავიწყოთ თავიდან“.

1989 წლის 16 მაისს გორბაჩოვის ოფიციალური ვიზიტი და ისტორიული შეხვედრა შედგა, რომელზეც ტენგ სიაოფინგმა შეა-ჯამა წარსული, ბოლო 100 წლის განმავლობაში ძლიერი სახელმ-წიფოების ჩინეთზე წნეხის შედეგად მიღებული ზარალი და მოსალოდნელ საშიშროებებზე ისაუბრა. ტენგმა ასევე შეაჯამა ორ ქვეყანას შორის რთული პერიოდები და ხაზი გაუსვა ფაქტს, რომ

სწორედ სსრკ-მ მიუჩინა ჩინეთს მცდარი, არასათანადო ადგილი, მიუხედავად დადებითი დასაწყისისა. ხაზი გაუსვა, რომ იხსენებს წარსულს, რათა პროგრესი იყოს სამომავლო ურთიერთობებში და ამოსავალი წერტილი უნდა გახდეს მომავალი.

გორბაჩოვმა, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-ს გარკვეულ საკითხებში თავისი ხედვა და შეფასება გააჩნიაო, მაინც აღიარა, რომ სსრკ-მ გარკვეული შეცდომები დაუშვა და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, დაეთანხმა იმას, რომ ამით უნდა დასრულებულიყო წარსულზე საუბარი.

ტენგ სიაოფინგის განცხადებით, წარსულში კავშირში გაერთიანების, ურთიერთდაპირისპირების და მესამე ქვეყნაზე მომართულობის წარუმატებლობის გამოცდილების გათვალისწინებით, ორ ქვეყანას შორის დამყარდეს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთოებები, რომელიც მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპზე უნდა იყოს აგებული. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზება არ უნდა აისახოს უარყოფითად მესამე ქვეყნის ინტერესებზე. თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ტენდენცია არის ორგანულად ერთიანი. ორი ქვეყნის ურთიერთობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ ორი ქვეყნის ხალხის ფუნდამენტურ ინტერესებს და ემსახურებოდეს მსოფლიოს მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვას.

ჩინური მხარის შეფასებით, ამ უკანასკნელმა შეხვედრამ დაასრულა რამდენიმე ათწლეულის არაჯანსაღი მდგომარეობა და თავიდან სცადა ქვეყნებს შორის ურთიერთოებების ნორმალიზება. ეს შეხვედრა იყო წარსულში დაშვებული შეცდომების აღიარებისა და ჩინეთ-სსრკ-ს ურთიერთობების ნორმალიზების განხორციელება (Qian Qichen, 2003).

აღსანიშნავია, რომ სსრკ არ შეუერთდა დასავლეთის სანქციებს და აქტიურად აგრძელებდა ჩინეთისთვის სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებას. იმ დროისთვის ჩსრ-ს და სსრკ-ს სამხედრო და ეკონომიკის სფეროებში თანამშრომლობა აკავშირებდათ.

სსრკ-ს დაშლამდე ცოტა ხნით ადრე მოსკოვთან „თბილი“ ურთიერთობების აღდგენა, შემდეგ კი გაძლიერება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- სსრკ-ს ექსპანსიონიზმის უნარის დაკარგვამ;
- დასუსტებულ სსრკ-სთან სადავო საკითხების მოგვარების სურვილმა;
- აშშ-სთან თაივანის პრობლემებმა;
- დასავლეთთან, განსაკუთრებით კი, აშშ-სთან ურთიერთობების დაზიანებამ, კერძოდ კი, დასავლური სამყაროს მიერ სანქციების დაწესებამ თიენანმენის ინციდენტის გამო.
- ფინანსურად დაუძლურებულ სსრკ-ს მოძლიერებულ ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების სურვილმა (რამაც ნაწილობრივ განაპირობა ჩინეთის მიმართ სანქციების დაწესებაზე უარის თქმა).

გორბაჩოვის 1989 წელს ვიზიტზე საპასუხოდ, 1991 წლის მაისში უკვე ძიანგ წემინი ეწვია მოსკოვს ხუთდღიანი ვიზიტით, რომელიც 1957 წელს მაო წეტუნგის ვიზიტის შემდეგ იყო ჩინეთის ლიდერის პირველი ვიზიტი. ძიანგი აცხადებდა, რომ ვიზიტის მიზანი იყო „საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობების გაგრძელება“. ოთხწლიანმა მოლაპარაკებებმა დადებითი შედეგი გამოიღო, ორივე მხარემ მოაგვარა სადავო საკითხები (Robert Lawrence Kuhn, 2005) .

მართალია, ექსპერტებმა შეხვედრა ჩსრ-სსრკ-ს თანამშრომლობის „ახალი ეპოქის დასაწყისად“ შეაფასეს, თუმცა აშკარა იყო, რომ ორი ქვეყნის განვითარების გზები გაიყო და, რაც ყველაზე მთავარია, საბჭოთა კავშირი დაშლის პირას იდგა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძიანგი ბევრს მუშაობდა იმაზე, რომ მსოფლიოს დაენახა აქტიური და მომხიბვლელი მთავრობა, რომელსაც არ სურდა ყოფილიყო იზოლირებული და გაეზიარებინა სსრკ-ს დასუსტების ბედი. ერთი ფაქტი ნათლად გვიჩვენებს ჩინეთის დასუსტებული სსრკ-სადმი დამოკიდებულებასა და განცდას. ძიანგმა 1991 წლის თებერვალში ჩინეთში ვიზიტით მყოფ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ლიდერს გადასცა ფინანსური კრედიტი ეკონომიკურ ჩიხში მოქცეული სსრკ-სთვის, რაც მოულოდნელად დიდი პროპაგანდა აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩინეთისთვის და ჩინეთის კომუნისტური პარტიისთვის, ამ ნაბიჯით დაანახა მსოფლიოს, რომ ის არ ჰგავს სსრკ-ს და „ჩინურმა სოციალიზმმა აჯობა სსრკ-სას“, პირადად ძიანგისთვისაც აღმოჩნდა

მნიშვნელოვანი და გარდამტეხი ისტორიული მომენტი, რომელიც ახსენებდა წლებს, როდესაც ჩინეთი იყო მთლიანად დამოკიდებული საბჭოთა კავშირის ფინანსურ მხარდაჭერაზე, ხოლო სსრკ-მ მიატოვა, გაიწვია ყველა მრჩეველი უკან და დატოვა მძიმე მდგომარეობაში (Robert Lawrence Kuhn, 2005) .

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად დიპლომატიური მოლაპარაკებისა, რომელზეც ჩინეთმა სსრკ-ს შეცდომები გაუხსენა და სსრკ-მ აღიარა, სსრკ-სთან ურთიერობის სამი ძირითადი დაბრკოლების მოხსნის უფრო რეალური მიზეზები იყო ჩინეთისა და აშშ-ს ზეწოლა და ძალების დისბალანსი, ზოგადად, საერთაშორისო სამყაროს ზეწოლა და, რაც მთავარია, თავად სსრკ-ს უსახსრობა და დაუძლურება, რასაც თავის მემურებში შევარდნაძეც ადასტურებს (შევარდნაძე, 2018).

მალევე, მსოფლიომ სწრაფი და კარდინალური ცვლილებები განიცადა, საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა დესტაბილიზაცია და არეულობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრამ საფუძველი დაუდო მომავალში ორ ქვეყანას (მომავალში უკვე ჩინეთსა და რუსეთს) შორის „კეთილმეზობლური და პარტნიორულ ურთიერთოებების განვითარებას“. ჩინეთი კი, ამ პერიოდიდან იწყებს გამოწვევებთან შეჭიდებას (Qian Qichen, 2003).

მოკლედ, რომ შევაფასოთ ჩინეთის საგარეო პოლიტიკა სსრკ-ს დაშლამდე, თავდაპირველად ჩინეთი ურთიერთობს აშშ-თან, მაგრამ არ არის მასთან კავშირში შეკრული, აწარმოებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ყოველგვარი გავლენის გარეშე, თამაშისთვის კი ყოველთვის მზადყოფნაშია წინასწარი გათვლებით. ზედმეტი პირობების წაყენების გარეშე ჩანს აშშ-სთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენის სურვილის გარდა, სსრკ-სთან ურთიერთობების დალაგების ფაქტი.

დასკვნა

წინამდებარე კვლევის დასახული მიზანი, გავაკეთოთ სსრკ-ს დაშლამდე პერიოდში ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი. მიღწეულია და დასმული შეკითხვები პასუხგაცემულია.

1979 წლისთვის ტენგ სიაოფინგმა დაიწყო პოლიტიკის დეიდეოლოგიზირება და ეკონომიკური რეფორმები, რამაც

დადებითი გავლენა მოახდინა როგორც ჩინეთზე, ისე მსოფლიოზე. 1980 წლამდე ჩინეთის მთავარი კონცეფცია იყო „პოლიტიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“, რომელიც 1980 წლიდან ტენგ სიაოფინგმა ჩაანაცვლა კონცეფციით „ეკონომიკა განსაზღვრავს ცხოვრების ყველა სფეროს“. 80-იანი წლების დასაწყისიდან, ჩინეთი იწყებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რაც ითვალისიწინებდა გეოპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური ინტერესების გაფართოებას, საერთაშორისო არენაზე გააქტიურებას. თიენანმენის ინციდენტმა ჩინეთს დასავლეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაურთულა, დაუწესდა სანქციები. თუმცა ტენგი მტკიცედ აგრძელებს რეფორმების გატარებას, მიუხედავად რთული საგარეო ვითარებისა. საგარეო პოლიტიკური კურსის ნაწილია სიფრთხილის გამოჩენა, ჩრდილში დარჩენა და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირება. ძიანგ წემინის საგარეო პოლიტიკა მომართულია „მრავალპოლარული სამყაროს“ კონცეფციაზე. იგი წარმატებით აგრძელებს რეფორემბის ავტორის ტენგ სიაოფინგის საქმეს, მართალია, სიტუაციის ცვლილების შემთხვევაში პოლიტიკის გადახედვას აწარმოებს ხოლმე, თუმცა ჭოუ ენლაისა და ტენგ სიაოფინგის ძირითად პრინციპებს ძალაში ტოვებს და დროდადრო იყენებს. იგი აგრძელებს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე ყველა ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარებას. სსრკ-ს დასუსტებამ მსოფლიოში გამოიწვია ჩინეთის მომავალში შესაძლო დასუსტების შიში, რაც ჩინეთისთვის ახალი გამოწვევა გახდა და მას სხვადასხვა ნაბიჯებისა და ქმედებების დემონსტრირებით ებრძოდა. ჩინეთის აშშ-თან ეკონომიკური ურთიერთობა ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით 1989 წლამდე წარმატებით ვითარდებოდა. დაბრკოლებას წარმოდგენდა თაივანის საკითხი, რომელიც დროდადრო ურთიერთობებს ძაბავდა. თუმცა ჩინეთი ზოგჯერ პრობლემის გამწვავებისგან თავის არიდების მიზნით დროებით საკითხის იგნორირებას ახდენდა. აშშ-ც ცდილობდა თავის მხრივ ჩინეთთან ურთიერთობის გართულებას, რათა ჩინეთი ისევ სსრკ-ს არ დაახლოებოდა, სანამ ეს

უკანასკნელი ჯერ კიდევ სახიფათო ძალას წარმოადგენდა. 1989 წელს თიენანმენის ინციდენტმა მოშალა აშშ-ჩსრ ურთიერთობები, თუმცა საბოლოოდ ისევ ეკონომიკურმა დაინტერესებამ გადაწონა დაპირისპირება. ძიანგ წემინი აღნიშნავდა, რომ აშშ-ს მხრიდან სანქციები, ჩინეთის შიდა პოლიტიკაში ჩარევის მცდელობა იყო და, რეალურად, თაივანის საკითხის გარდა, სხვა უთანხმოება არ არსებობდა, ცივი ომის დასრულებამ აშშ-ს მისცა ჩსრ-თან გულგრილი დამოკიდებულების შენარჩუნების საშუალება, დროდადრო აცხადებს, რომ ჩინეთი მზად არის დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესები, თუ საჭიროა, ძალის გამოყენებითაც, თუმცა ჩსრ აცხადებს, რომ მისთვის პრიორიტულია მშვიდობა და განვითარება. ჩსრ-სსრკ ურთიერთობები გორბაჩოვის გამოჩენამდე დაძაბული იყო, მიუხედავად შერიგების გარკვეული მცდელობებისა. ჩინეთი მზად იყო სსრკ-სთან თანამშრომლობისთვის თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სსრკ 1989 წლის სანქციებს არ შეუერთდა, ჩინეთი ძველ წყენას ვერ ივიწყებს და ფრთხილობს მის მიმართ მოქმედებებში, გარდა ამისა, მათი გზები თითქოს გაიყო: იზოლაციაში მყოფ სსრკ-სთან შეხების წერტილის პოვნაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა ჩინეთისთვის ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური სხვაობის გამო. ჩინეთი გრძნობს იმასაც, რომ სსრკ-ს ფინანსურმა დაუძლურებამ გადაადგმევინა გარკვეული ნაბიჯები ჩინეთთან ურთიერთობების აღსადგენად და განაპირობა მათ შორის ურთიერთობის სამი დაბრკოლების მოხსნაზე მოლაპარაკებების დაწყება.

სსრკ-მდე პერიოდში უსაფრთხოება საზღვრებზე ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა, რაც აფერხებდა თავისუფალ მოქმედებას ეკონომიკური განვითარებისთვის.

არსებულ გეოპოლიტიკურ ველზე, ჩინეთი თანმიმდევრული, წინდახედული და, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფი მოქმედებებით, მალევე შეანარჩუნებინა მას ადგილი საერთაშორისო არენაზე.

საბოლოო ჯამში, სტაბილურობამ, სწორმა საგარეო პოლიტიკამ და მაქსიმალურმა კონცენტრირებამ განვითარებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, ჩინეთს მოუტანა ეკონომიკური

განვითარება. ჩინეთი ხდება გამორჩეული, შეიძლება არა როგორც ზესახელმწიფო ზესახელმწიფოებს შორის, მაგრამ ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო. ამაში ასევე ხელს უწყობს ურთიერთობებში ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, ტენგის პოლიტიკა „აშკარა და აგრესიული შეჯიბრება სხვა ქვეყნებთან იწვევს გლობალურ დაძაბულობას“ ამოქმედებულია. ჩინეთი არ ივიწყებს წყენას, მართალია, სამაგიეროს არ უხდის მოწინააღმდეგეს, თუმცა ვერ პატიობს იმ თვალსაზრისით, რომ ნდობა შემცირებულია და ფრთხილია ურთიერთობებში. მიუხედავად წარსული წყენისა და, ზოგჯერ, იმ კონკრეტული მომენტისთვის უთანხმოებისა, როგორიც იყო, მაგალითად, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები ან აშშ-თან თაივანის საკითხი, მაინც აგრძელებდა თანამშრომლობას „ურთიერთსარგებლიანობის“ და „თანამშრომლობის ნიადაგის მოსინჯვის” პრინციპების თანახმად. ეს, პირველ რიგში, ხდებოდა თავის ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისთვის და რეფორმების წარმატებით რეალიზებისთვის.

ჩინეთის სსრკ-სთან ურთიერთობების გაუმჯობესების ფაქტი, მიუხედავად გარკვეული სარგებლისა, კიდევ ერთხელ მეტყველებს აშშ და სსრკ-ს შორის ჩინეთის ლავირებაზე, რითაც ხაზს უსვამს, რომ იგი არავისზე იქნება დამოკიდებული და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს. ეს, შეიძლება ითქვას, რომ დამახასიათებელი ხდება ჩინეთისთვის და, პერიოდულად, ასე გრძელდება დღემდე.

შედეგად, ნაშრომში წარმოჩნდა, რომ ჩინეთი ცდილობს გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, მუშაობს ახალ კონცეპციებზე ძველის შენარჩუნებით და დროდადრო მათი გამოყენებით; ცდილობს ქვეყნებთან ურთიერთობებში იპოვოს საერთო შეხების წერტილი და დროებით გადადოს სადავო საკითხები, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს ჩინეთის ინსტერესებს ემსახურება, თუმცა, ამის პარალელურად, თავის დაზღვევის მიზნით, ალტერნატივის შექმნაზეც ზრუნავს.

სამეცნიერო სიახლე. წინამდებარე ნაშრომის საფუძველზე გვეძლევა საშუალება გამოვავლინეთ: საგარეო პოლიტიკაში

ჩინეთის დიპლომატიური სვლების თავისებურებების დეტალები; ჩინეთის საკუთარი ინტერესის პრინციპული, მაგრამ მოქნილი დაცვის მექანიზმი; ჩინეთის ფრთხილი, წინდახედული და, ამავდროულად, ქმედითი პოლიტიკის გატარება საერთაშორისო არენაზე; ჩინეთის დიპლომატიური ნაბიჯების თანმიმდევრობის სპეციფიკა.

პრაქტიკაში გამოყენება. ნაშრომი ღირებულია როგორც თეორეტიკოსი მკვლევრებისთვის, ისე პრაქტიკოსი სპეციალისტებისთვის. პროგნოზის სახით გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია დიპლომატიურ საქმიანობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Henry, Kissinger. (2014). *On China.* Moscow: AST Publishers;

Henry, Kissinger. (2014). *The World Order.* Moscow: AST Publishers;

Henry, Kissinger. (1994). *Diplomacy.* Moscow: AST Publishers;

William, Keylor. (2011). *The Twentieth-Century World and Beyond: An International History.* New York: Oxford University Press;

Wuthnow, J. (2013). *Chinese Diplomacy and the UN Security Council:* Beyond the veto (pp. 1–220). Taylor and Francis, from https://doi.org/10.4324/9780203082041;

Yang, B. (1996). *Deng Xiaoping and the Making of Modern China.* Richard Evans. The China Journal, 35, from https://doi.org/10.2307/2950291;

Yu Han (2016), *Development of modern foreign policy of the People's Republic of China*, Nauchno- tekhnicheskiye vedomosti SPbGPU. Gumanitarnyye i obshchestvennyye nauki, No. 1 (239), pp. 84-91, (in Russian).

შევარდნაძე, ედუარდ. (2018). ფიქრი წარსულსა და მომავალზე: მემუარები. გაზეთი, პალიტრა L: თბილისი;

ჯიბლაძე, მარინე. ბოლქვაძე, თინათინ. ლიოუ, ჩაო. ლიანგ, ქუნგქუნგი. ქელბაქიანი, ნიკო. თეთრაძე, მაკა. (2019-2020). *„ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ*

ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვ-ანელო წესები“, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. ბიულეტენი, II: 18-37, from http://enadep.gov.ge/ uploads/ Bulletin_ II_2019-2020 .pdf);

钱其琛 《外交十记》*[Qian Qichen. Ten Stories of a Diplomat Qian Qichen]*，北京：世界知识出版社，2003年12月

郑言 《外交纪实》*[Zheng Yan. Diplomatic Episodes],* 北京：北京：世界知识出版社,2007;

王红续，孙造等/著 《邓小平与中国外交》*[Wang Hongxu. Deng Xiaoping and Foreign Affairs],* 北京：中国民主法制出版社，2017

邓小平 《邓小平在中国共产党第十二次全国代表大会上的开幕词》*[Deng Xiaoping. Deng Xiaoping's Speech at the 12th National Congress of the Communist Party of China]*,人民日报1982.09.02 http://cpc.people.com.cn/GB/64162/64168/64565/65448/4429495.html

王逸 《中国外交六十年（1949-2009）》 *[Wang Yi. Sixty Years of China's Diplomacy],* 北京：中国社会科学出版社， 2009;

秦亚青 《国际体系与中国外交》*[Qin Yaqing. The International System and Chinese Diplomacy],* 世界知识出版社,2009年12月;

杨公素,张植荣《当代中国外交理论与实践 (1949-2001)》*[Yang Gongsu, Zhang Zhirong. Contemporary Chinese Diplomacy Theory and Practice],* 北京：励志出版社，2002;

耿向东 《图解中国外交》*[Geng Xiangdong. Illustration of Chinese diplomacy],* 人民出版社，2014 年 1月 ;

罗伯特.劳伦斯.库恩 《他改变了中国：江泽民传》*[Robert Lawrence Kuhn. The Man Who Changed China: The Life and Legacy of Jiang Zemin],* 上海译文出版社，2005;

袁明 《国际关系史》 *[Yuan Ming. History of International Relations],* 北京大学出版社, 2012年3月;

李志萍等 《邓小平军事战略思想及战略决策》 *[Li Zhiping. Deng Xiaoping's Military Strategic Thought and Strategic Decision],* 2014

http://cpc.people.com.cn/n/2014/0723/c69113-25326384.html;

中国外交部官网站 *[Foreign Ministry of Georgia]*: www.fmprc.gov.cn;

人民日报 *[Renmin Ribao]*: www.new.cn.

REFERENCES

Henry, Kissinger. (2014). *On China.* Moscow: AST Publishers;

Henry, Kissinger. (2014). *The World Order.* Moscow: AST Publishers;

Henry, Kissinger. (1994). *Diplomacy.* Moscow: AST Publishers;

William, Keylor. (2011). *The Twentieth-Century World and Beyond: An International History.* New York: Oxford University Press;

Wuthnow, J. (2013). *Chinese Diplomacy and the UN Security Council:* Beyond the veto (pp. 1–220). Taylor and Francis, from https://doi.org/10.4324/9780203082041;

Yang, B. (1996). *Deng Xiaoping and the Making of Modern China.* Richard Evans. The China Journal, 35, from https://doi.org/10.2307/2950291;

Yu Han (2016), *Development of modern foreign policy of the People's Republic of China*, Nauchno- tekhnicheskiye vedomosti SPbGPU. Gumanitarnyye i obshchestvennyye nauki, No. 1 (239), pp. 84-91, (in Russian).

Shevardnadze, Eduard. (2018). *Fikri Ts'arsulsa da Momavalze [Thinking about the past and the future]:* Memuarebi. Gazeti, P'alit'ra L: Tbilisi;

Jibladze, Marine. Bolkvadze, Tinatin. Liou, Chao. Liang, Kelngkungi. Kelbakiani, Nik'o. Tetradze, Mak'a. (2019-2020).„*Chinuri enis Martsvalta Sist'emis Kartul Enaze T'ransk'riftsia-T'ranslit'eratsiis Sakhelmdzghvanelo Ts'esebi*"

[Guideline for Transcription-Transliteration of the Chinese Language Syllable System in Georgian], Sakhelmts'ifo Enis Dep'art'ament'i. Biulet'eni, II: 18-37, from http:// enadep. gov.ge/ uploads/ Bulletin_ II_2019-2020.pdf).

钱其琛 《外交十记》*[Qian Qichen. Ten Stories of a Diplomat Qian Qichen]*，北京：世界知识出版社，2003年12月

郑言 《外交纪实》*[Zheng Yan. Diplomatic Episodes],* 北京：北京：世界知识出版社,2007;

王红续，孙造等/著 《邓小平与中国外交》*[Wang Hongxu. Deng Xiaoping and Foreign Affairs],* 北京：中国民主法制出版社，2017

邓小平 《邓小平在中国共产党第十二次全国代表大会上的开幕词》*[Deng Xiaoping. Deng Xiaoping's Speech at the 12th National Congress of the Communist Party of China]*,人民日报1982.09.02 http://cpc.people.com.cn/GB/64162/64168/64565/65448/4429495.html

王逸 《中国外交六十年（1949-2009）》 *[Wang Yi. Sixty Years of China's Diplomacy],* 北京：中国社会科学出版社， 2009;

秦亚青 《国际体系与中国外交》*[Qin Yaqing. The International System and Chinese Diplomacy],* 世界知识出版社,2009年12月;

杨公素,张植荣《当代中国外交理论与实践 (1949-2001)》*[Yang Gongsu, Zhang Zhirong. Contemporary Chinese Diplomacy Theory and Practice],* 北京：励志出版社，2002;

耿向东 《图解中国外交》*[Geng Xiangdong. Illustration of Chinese diplomacy],* 人民出版社，2014 年 1月 ;

罗伯特.劳伦斯.库恩 《他改变了中国：江泽民传》*[Robert Lawrence Kuhn. The Man Who Changed China: The Life and Legacy of Jiang Zemin],* 上海译文出版社，2005;

袁明 《国际关系史》 *[Yuan Ming. History of International Relations],* 北京大学出版社, 2012年3月;

李志萍等 《邓小平军事战略思想及战略决策》 *[Li Zhiping. Deng Xiaoping's Military Strategic Thought and Strategic*

Decision], 2014 http://cpc.people.com.cn/n/2014/0723/c691 13 -25326384.html;
中国外交部官网站 *[Foreign Ministry of Georgia]*: www.fmprc.gov.cn;
人民日报 *[Renmin Ribao]*: www.new.cn.

China's foreign policy before the collapse of the USSR (1980-1991)

Marine Jibladze

Doctor of Chinese Philology, Professor
Free University of Tbilisi,
PhD student in History Ivane Javakhishvili
Tbilisi State University Faculty of Humanities,
Tbilisi, Georgia

Abstract

The paper discusses China's foreign policy before the collapse of the Soviet Union. The aim of the study is to do an analysis of Chinese foreign policy in the period before the collapse of the USSR, in particular, discussing China's relations with the US and the USSR and the triangle of these relations at different times and circumstances. A set of methods that include the historical-descriptive method, the retrospective method and a systematic analysis of historical processes. Despite obstacles and some difficulties along the way, China, with consistent, prudent and, if necessary, swift action, quickly became one of the most powerful and influential players on the international arena. Stability along with a correct foreign policy, prioritizing national interests and focusing on matters that are crucial for development, have brought steady economic progress to China.

The scientific novelty is that we demonstrate China's ability to react sharply and swiftly remodel their foreign policy; Details of the peculiarities of diplomatic moves in foreign policy; A principled but flexible defense mechanism of one's own interest; Careful, prudent and, at the same time, effective policy on the international arena; The

specifics of the sequence of diplomatic steps; Priorities in the geopolitical environment before the collapse of the USSR.

As for the practical value of the paper, it is possible to reasonably understand and use future opportunities in diplomatic activities. The paper is valuable for both theoretical researchers and practicing specialists.

Keywords: China; USA; Soviet Union; Foreign Policy; Diplomacy; Geopolitics.